დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი № 11

ქ. დმანისი 07.11.2019

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: გ. ციხელაშვილი , ზ. გრიგალაშვილი , ა. შარიფოვი. შ. აკობაშვილი ფ, ციხელაშვილი.

კომისიის თავმჯდომარე : გოგი ციხელაშვილი

მდივანი: ლ. გადრანი

დღის წესრიგი;

1. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.10.2019 წლის N 65 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (საძოვარი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1.გოგი ციხელაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.10.2019 წლის N 65 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი ცვლილება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.10.2019 წლის N 65 08 განკარგულებაში
2. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 82.01.46.593) უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ"
3. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2.გაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში ქ. დმანისში, მ.ხერგიანის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება, 1684 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №82.01.46.593."

2.გოგი ციხელაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (საძოვარი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

კომისიამ განიხილა , დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და დაადგინა : არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის უარი ეთქვას საკითხის განხილვაზე .

კომისიამ გადაწყვიტა არ წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

აზრი გამოთქვეს: ა. შარიფოვმა, ფ. ციხელაშვილმა

განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე; გ. ციხელაშვილი

მდივანი : ლ. გადარანი